



რეგიონის ობლიგაციების ბაზრის მიმოხილვა

საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, ყაზახეთი, უკრაინა, რუსეთი, თურქეთი, უზბეკეთი

რეგიონი | ობლიგაციები
ყოველთვიური მიმოხილვა
8 აპრილი, 2021


აშშ-ში სახაზინო ობლიგაციების შემოსავლიანობა კვლავ მაღალ ნიშნულზე შენარჩუნდა მარტში (1.73% 2021 წლის 30 მარტისთვის), მიუხედავად იმისა, რომ FED-მა ბოლოს გამართულ მონეტარული პოლიტიკის შეხვედრაზე 2024 წლამდე საპროცენტო განაკვეთების ნულოვან ნიშნულზე შენარჩუნება დააანონსა. აშშ-ში გაზრდილი საპროცენტო განაკვეთების უარყოფითი გავლენის შესამსუბუქებლად მარტის მეორე ნახევარში ევროპის ცენტრალურმა ბანკმა ობლიგაციების ყიდვის პროგრამის შესყიდვის ტემპი დააჩქარა (EUR 14 მლრდ-დან EUR 21.1 მლრდ-მდე).

მარტში განვითარებადი ბაზრებიდან (EM) კაპიტალის გადინება მოხდა. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის მონაცემებზე დაყრდნობით ჯამში განვითარებადი ბაზრებიდან მარტში \$4.8 მლრდ-ის გადინება მოხდა (26 მარტამდე). აღსანიშნავია, რომ 2020 წლის სექტემბრის შემდეგ ეს ყველაზე მსხვილი გადინება განვითარებადი ბაზრებიდან. პორტფელური ინვესტიციების გადინების რამდენიმე სავარაუდო მიზეზია: აშშ-ში სახაზინო ობლიგაციებზე მზარდი საპროცენტო განაკვეთები, ასევე განვითარებად ბაზრებზე მზარდი ვირუსის შემთხვევები და თურქეთში არსებული მდგომარეობა, რაც უარყოფითად აისახება ინვესტორების განწყობებზე.

2021 წლის მარტში თურქეთის ეკონომიკურ ბლოკში მორიგი გადატრიალება მოხდა. 20-21 მარტს, თურქეთის პრეზიდენტმა თანამდებობიდან გაათავისუფლა თურქეთის ცენტრალური ბანკირი, რომელიც ამ პოსტზე 4 თვის წინ, 2020 წლის ნოემბერში დაინიშნა და პოსტზე დანიშვნის შემდეგ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ჯამში 8.75პპ-ით გაზარდა 19%-მდე (ბოლო ზრდა 19 მარტის შეხვედრაზე განხორციელდა). თურქეთის ახალ ცენტრალურ ბანკირად დაინიშნა საჰაპ კავჩიოღლუ, რომელიც იზიარებს ერდოღანის შეხედულებას დაბალი საპროცენტო განაკვეთების შესახებ, ძირითადი ეკონომიკური თეორიების საწინააღმდეგოდ. აღნიშნული ცვლილების შემდეგ თურქული ლირა რეკორდულად, 14%-ით, გაუფასურდა.


მარტში მონეტარული პოლიტიკა რამდენიმე რეგიონალურმა ცენტრალურმა ბანკმა გაამყარა. კერძოდ, 19 მარტს გამართულ შეხვედრაზე რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა პოლიტიკის განაკვეთი 25სპ-ით გაზარდა 4.50%-მდე, რაც გაზრდილი ინფლაციური და გეოპოლიტიკური რისკებს უკავშირდება. მარტში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გაზრდილი ინფლაციური რისკების გამო პოლიტიკის განაკვეთი 50სპ-ით 8.5%-მდე გაზარდა.

სახელმწიფო ევროობლიგაციების სპრედი: რეგიონი vs მსგავსი ქვეყნები



წყარო: Bloomberg, გალტ & თაგარტი

სახელმწიფო ევროობლიგაციების შემოსავლიანობის ცვლილება მარტი, სპ



წყარო: Bloomberg

ქვეყნების საკრედიტო რეიტინგები

	Fitch	Moody's	S&P
საქართველო	BB	Ba2	BB
რუსეთი	BBB	Baa3	BBB-
ყაზახეთი	BBB	Baa3	BBB-
აზერბაიჯანი	BB+	Ba2	BB+
სომხეთი	B+	Ba3	n/a
უზბეკეთი	BB-	B1	BB-
თურქეთი	BB-	B2	B+
ბელარუსი	B	B3	B
უკრაინა	B	B3	B

წყარო: Fitch, Moody's, S&P

ევა ბოჭორიშვილი - კვლევების უფროსი
| evabochoreshvili@gt.ge | +995 32 2401 111 ext. 8036
ანა ნაჭყებია - უფროსი ანალიტიკოსი
| ananachkebia@gt.ge | +995 32 2401 111 ext. 8137
გიორგი ირემაშვილი - ანალიტიკოსი უფროსი
| giremashvili@gt.ge | +995 32 2401 111 ext. 4691




სახელმწიფო ევროობლიგაციების შემოსავლიანობა

2021 წლის 12 აპრილს საქართველოს სუვერენული ევროობლიგაციის ვადა იწურება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობა აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო საინვესტიციო ბანკებთან ევროობლიგაციის რეფინანსირებასთან დაკავშირებით.


2021 წლის მარტში რეგიონის სუვერენულ ევროობლიგაციებზე შემოსავლიანობა გაიზარდა (ობლიგაციის შემოსავლიანობა და ფასი უკუპროპორციულია), აშშ-ში სახაზინო ობლიგაციებზე მზარდი შემოსავლიანობის პარალელურად. TURKEY 26-მა რეგიონის სუვერენულ ობლიგაციებს შორის მარტში ყველაზე ცუდი შედეგი აჩვენა და შემოსავლიანობა 169სპ-ით გაიზარდა, გაუარესებული განწყობების შედეგად. ასევე ცუდი შედეგი აჩვენა BELARUS 27-მა რომლის შემოსავლიანობა მარტში 93სპ-ით გაიზარდა. რეგიონის სხვა სუვერენულ ევროობლიგაციებზე შემოსავლიანობა მარტში 20-30სპ-ის დიაპაზონში გაიზარდა.

შერჩეული სახელმწიფო ევროობლიგაციების შემოსავლიანობა



წყარო: Bloomberg

შერჩეული სახელმწიფო ევროობლიგაციების შემოსავლიანობის მრუდი






2021 წლის მარტში განვითარებადი ქვეყნებიდან კაპიტალის გადინებამ გამოიწვია ადგილობრივი ვალუტების გაუფასურება დოლარის მიმართ, შესაბამისად გაუფასურდა რეგიონის ქვეყნების ვალუტებიც, კერძოდ:

- თურქეთის ცენტრალური ბანკის გადაყენების შემდეგ, თურქული ლირა მნიშვნელოვნად გაუფასურდა. 2021 წლის მარტის ბოლოსთვის გაცვლითმა კურსმა 8.25/\$ შეადგინა, რაც 2020 წლის ნოემბრის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ინვესტორები ახლა შემდგომი მონეტარული პოლიტიკის შეხვედრის მოლოდინში არიან და ლირას კიდევ უფრო გაუფასურებას პროგნოზირებენ.
- 2021 წლის მარტში ლარი დოლართან მიმართებაში 2.9%-ით გაუფასურდა, რაც რამდენიმე ფაქტორთანაა დაკავშირებული, მათ შორისაა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური არასტაბილურობა, COVID-19 მესამე ტალღის ალბათობა და თურქეთთან დაკავშირებული ნეგატიური მოლოდინები.
- გაზრდილი გეოპოლიტიკური რისკების პარალელურად გაიზარდა აშშ-ს მხრიდან რუსეთის მიმართ სანქციების გაფართოების ალბათობა. შედეგად, 2021 წლის მარტში რუსეთის რუბლი დოლართან მიმართებაში 1.4%-ით გაუფასურდა.
- მარტში ასევე გაუფასურდა ყაზახეთის ტენგე 1.9%-ით.

რეგიონის ვალუტების გაცვლითი კურსი აშშ დოლართან, ინდექსი აგვ 2014=100



წყარო: Bloomberg

2021 წლის 26 თებერვლის მდგომარეობით

ცენტრალური ბანკების მონეტარული პოლიტიკის განაკვეთები

	თებ-20	მარ-20	აპრ-20	მაი-20	ივნ-20	ივლ-20	აგვ-20	სექ-20	ოქტ-20	ნოვ-20	დეკ-20	იან-21	თებ-21	მარ-21
საქართველო	9.00%	9.00%	9.00%	8.50%	8.25%	8.25%	8.00%	8.00%	8.00%	8.00%	8.00%	8.00%	8.00%	8.50%
სომხეთი	5.50%	5.50%	5.25%	5.00%	4.50%	4.50%	4.50%	4.25%	4.25%	4.25%	5.25%	5.25%	5.50%	5.50%
აზერბაიჯანი	7.25%	7.25%	7.25%	7.25%	7.00%	6.75%	6.75%	6.75%	6.75%	6.50%	6.25%	6.25%	6.25%	6.25%
ბელორუსია	9.00%	8.75%	8.75%	8.75%	8.00%	7.75%	7.75%	7.75%	7.75%	7.75%	7.75%	7.75%	7.75%	7.75%
უკრაინა	11.00%	11.00%	10.00%	8.00%	6.00%	6.00%	6.00%	6.00%	6.00%	6.00%	6.00%	6.00%	6.00%	6.00%
ყაზახეთი	9.25%	9.25%	12.00%	9.50%	9.50%	9.00%	9.00%	9.00%	9.00%	9.00%	9.00%	9.00%	9.00%	9.00%
რუსეთი	6.25%	6.00%	6.00%	5.50%	4.50%	4.25%	4.25%	4.25%	4.25%	4.25%	4.25%	4.25%	4.25%	4.50%
უზბეკეთი	16.00%	16.00%	16.00%	15.00%	15.00%	15.00%	15.00%	14.00%	14.00%	14.00%	14.00%	14.00%	14.00%	14.00%
თურქეთი	11.25%	10.75%	9.75%	8.75%	8.25%	8.25%	8.25%	10.25%	10.25%	15.00%	17.00%	17.00%	17.00%	19.00%
აშშ	1.75%	1.75%	0.25%	0.25%	0.25%	0.25%	0.25%	0.25%	0.25%	0.25%	0.25%	0.25%	0.25%	0.25%
ევროპა	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%

წყარო: ცენტრალური ბანკები




საქართველო

GEORGIA 21 შემოსავლიანობა




წყარო: Bloomberg

სპრედი ამერიკის სახაზინო ობლიგაციების და BB შესადარის ობლიგაციების შემოსავლიანობასთან



წყარო: Bloomberg

GEORGIA 21 სპრედი რეგიონალურ ობლიგაციების შემოსავლიანობასთან




წყარო: Bloomberg, გალტი & ტაგარტი



საქართველოს სახაზინო ობლიგაციები


საქართველოს სახელმწიფო ევროზონის ობლიგაციებისა და მთავრობის სახაზინო ობლიგაციების შემოსავლიანობა




წყარო: Bloomberg, სეზ, გალტ & თაბარიტი

შენიშვნა: ლარის სახაზინო ობლიგაციების შემოსავლიანობა გამოვლინდა სეზ-ის დღიური შემოსავლიანობის მრუდიდან


სახაზინო ობლიგაციები მფლობელების მიხედვით, მლნ. ლარი




არა-რეზიდენტების წილი მთლიან სახაზინო ობლიგაციებში



საპროცენტო განაკვეთები სახაზინო ობლიგაციებზე



10წ vs 2წ და 10წ vs 6თ სახაზინო ობლიგაციების სპრედები



წყარო: სეზ

შენიშვნა: საპროცენტო განაკვეთები აღებულია სახაზინო ობლიგაციებზე განხორციელებული აუქციონების შედეგებიდან


წყარო: სეზ

შენიშვნა: საპროცენტო განაკვეთები აღებულია სახაზინო ობლიგაციებზე განხორციელებული აუქციონების შედეგებიდან




ადგილობრივი კორპორატიული ობლიგაციები

დოლარში დენომინირებული კორპორატიული ობლიგაციები




წყარო: სეზ, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: წრის ზომა შეესაბამება ემისიის ზომას, მაქსიმუმ 35 მლნ. აშშ დოლარი

ლარში დენომინირებული კორპორატიული ობლიგაციები




წყარო: სეზ, გალტ & თაგარტი
ნიშვნა: წრის ზომა შეესაბამება ემისიის ზომას, მაქსიმუმ 90 მლნ. ლარი
ლარში დენომინირებული ობლიგაციები მცურავი განაკვეთის მქონე, კუპონები დათვლილია მიმდინარე 8.0%-იანი რეფინანსირების განაკვეთის დამატებით

კორპორატიული ობლიგაციების ნაშთი, მლნ. ლარი



წყარო: სეზ, გალტ & თაგარტი

კორპორატიული ობლიგაციები სექტორების მიხედვით, 2020




წყარო: სეზ, გალტ & თაგარტი




რეგიონის ქვეყნები

სომხეთის შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: Bloomberg

სპრედი ამერიკის სახაზინო ობლიგაციების და BB შესადარის ობლიგაციების შემოსავლიანობასთან




წყარო: Bloomberg

ARMEN 25 სპრედი რეგიონალურ ობლიგაციების შემოსავლიანობასთან




წყარო: Bloomberg, გალტი & თაგარტი

აზერბაიჯანის შემოსავლიანობის მრუდი



წყარო: Bloomberg


სპრედი ამერიკის სახაზინო ობლიგაციების და BB შესადარის ობლიგაციების შემოსავლიანობასთან



წყარო: Bloomberg




AZERB 24 სპრედი რეგიონალურ ობლიგაციების შემოსავლიანობასთან




წყარო: Bloomberg, გალუტ & თავარტი

ბელარუსის შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: Bloomberg

სპრედი ამერიკის სახაზინო ობლიგაციების და BB შესადარის ობლიგაციების შემოსავლიანობასთან



წყარო: Bloomberg


BELARUS 23 სპრედი რეგიონალურ ობლიგაციების შემოსავლიანობასთან



წყარო: Bloomberg, გალუტ & თავარტი




ყაზახეთის შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: Bloomberg

სპრედი ამერიკის სახაზინო ობლიგაციების და BB შესადარის ობლიგაციების შემოსავლიანობასთან




წყარო: Bloomberg

KAZAKH 25 სპრედი რეგიონალურ ობლიგაციების შემოსავლიანობასთან




წყარო: Bloomberg, გალტი & თაგარტი

რუსეთის შემოსავლიანობის მრუდი



წყარო: Bloomberg


სპრედი ამერიკის სახაზინო ობლიგაციების და BB შესადარის ობლიგაციების შემოსავლიანობასთან



წყარო: Bloomberg




RUSSIA 23 სპრედი რეგიონალურ ობლიგაციების შემოსავლიანობასთან




წყარო: Bloomberg, გალუ & თავარიტი

თურქეთის შემოსავლიანობის მრუდი



წყარო: Bloomberg

სპრედი ამერიკის სახაზინო ობლიგაციების და BB შესადარის ობლიგაციების შემოსავლიანობასთან



წყარო: Bloomberg


TURK 26 სპრედი რეგიონალურ ობლიგაციების შემოსავლიანობასთან



წყარო: Bloomberg, გალუ & თავარიტი




უკრაინის შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: Bloomberg

სპრედი ამერიკის სახაზინო ობლიგაციების და BB შესადარის ობლიგაციების შემოსავლიანობასთან




წყარო: Bloomberg

UKRAINE 26 სპრედი რეგიონალურ ობლიგაციების შემოსავლიანობასთან




წყარო: Bloomberg, გალტ & ტაგარტი

უზბეკეთის შემოსავლიანობის მრუდი



წყარო: Bloomberg


სპრედი ამერიკის სახაზინო ობლიგაციების და BB შესადარის ობლიგაციების შემოსავლიანობასთან



წყარო: Bloomberg



UZBEK 24 სპრედი რეგიონალურ ობლიგაციების შემოსავლიანობასთან



წყარო: Bloomberg, გალტ & ტაგარტი




ქართული კორპორატიული ევროობლიგაციები

2021 წლის მარტში, საქართველოს კაპიტალმა (GEOCAP) \$65 მლნ-ის ევროობლიგაცია გამოუშვა, რომელიც კომპანიის არსებულ \$300 მლნ-ის ევროობლიგაციასთან დაკონსოლირდება. ობლიგაციების განთავსება ირლანდიის საფონდო ბირჟაზე მოხდა. მიღებული სახსრებიდან ნაწილი (\$35 მლნ) პორტფელში არსებული კომპანიებს მოხმარდებათ, ხოლო ნაწილი კი ზოგადი კორპორატიული მიზნებისთვის იქნება გამოყენებული. მარტში GEOCAP 24-ის შემოსავლიანობა 42.5სპ-ით გაიზარდა და 5.65% შეადგინა (ობლიგაციის შემოსავლიანობა და ფასი უკუპროპორციულია).

2020 წელი საკმაოდ რთული აღმოჩნდა სილქნეტისთვის, რამაც კომპანიის შემოსავლებში საოპერაციო სეგმენტებში ცვლილება გამოიწვია. კერძოდ, მობილური ინტერნეტიდან მიღებული შემოსავლები 2020 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხოლო უფრო ტრადიციული სეგმენტები COVID-19-თან დაკავშირებული ეკონომიკური შეფერხების გამო ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდა. საერთო ჯამში, სილქნეტის შემოსავალმა 2020 წელს 382.2მლნ. ლარი შეადგინა (-GEL 5.0 მლნ. ან -1.3% წ/წ), ხოლო საოპერაციო მოგება (EBITDA) 211.5მლნ ლარი შეადგინა, რაც ჩვენი პროგნოზთან შესაბამისობაშია. ჩვენი შეფასებით, 2021 წელს სილქნეტის შემოსავლები დაბალი ერთიონი რიცხვით გაიზარდება, რაც დიდწილად ეკონომიკისა და ტურიზმის აღდგენაზე იქნება დამოკიდებული (გაიგეთ მეტი ჩვენს უახლეს რეპორტში). SILKNET 24-ის შემოსავლიანობა ბოლო პერიოდში მცირდებოდა, თუმცა მარტში ტენდენცია შეიცვალა და ევროობლიგაციაზე შემოსავლიანობა 22სპ-ით გაიზარდა და 7.4% შეადგინა.

2021 წლის 26 აპრილს, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის (GOGC) არსებული \$250 მლნ-ის ევროობლიგაციის ვადა იწურება, რომლის რეფინანსირებას კომპანია EBRD-სგან მიღებული დაფინანსებით აპირებს. სხვა ქართულ კორპორატიულ ევროობლიგაციებზე ინვესტორების განწყობები მარტში არაერთგვაროვანი იყო. ქართული ბანკების შემოსავლიანობა BoG 23-სა და TBCG 24-ისთვის მარტში 25-26სპ-ით შემცირდა. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის 31 მარტს Fitch Ratings-მა 3 ქართულ ბანკზე - საქართველოს ბანკი, თიბისი ბანკი და ლიბერი ბანკი - საკრედიტო რეიტინგის მოლოდინი ნეგატიურიდან სტაბილურამდე გააუმჯობესა, ხოლო გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი უცვლელად შეინარჩუნა. მარტში ასევე შემცირდა CGEOLN 25 (GGU)-ს შემოსავლიანობა 17.1სპ-ით და 31 მარტისთვის YTM-მ 6.5% შეადგინა.


ქართული ევროობლიგაციების შემოსავლიანობა



წყარო: Bloomberg




ტელეკომუნიკაციების სექტორი




წყარო: Bloomberg
შენიშვნა: სილქნეტის დურაციის გამოთვლისას ვადიანობის განსაზღვრისთვის აღებულია გამოსყიდვის თარიღი

სილქნეტის ევროობლიგაციის შემოსავლიანობა



წყარო: Bloomberg


სილქნეტი vs რეგიონის შესადარი ტელეკომ ოპერატორები, სპ



წყარო: Bloomberg, გალტ & ტაგარტი




რეგიონის სარკინიგზო კომპანიების შემოსავლიანობა




წყარო: Bloomberg

საქართველოს რკინიგზის ევროობლიგაციის შემოსავლიანობა




წყარო: Bloomberg

საქართველოს რკინიგზა vs რეგიონის შესადარი სარკინიგზო კომპანიები, სპ



წყარო: Bloomberg, გალტი & თაგარტი


ქართული ბანკებისა და სახელმწიფო ევროობლიგაციის შემოსავლიანობა



წყარო: Bloomberg




რეგიონის კერძო ბანკების შემოსავლიანობა და დურაცია




წყარო: Bloomberg

GEOCAP და CGEOLN (GGU)-ის
შემოსავლიანობა




Source: Bloomberg

GEOCAP-ის სპრედი საქართველოს
ბანკის (BoG 23) ობლიგაციასთან,
სპ



Source: Bloomberg

CGEOLN-ის (GGU) სპრედი
GEOCAP-ის ევროობლიგაციასთან,
სპ



Source: Bloomberg

დანართი

გამომშვები	Ticker	ISIN	ვალუტა	კუპონი	სექტორი	დაფარვის თარიღი	დურაცია	მოცულობა მლნ აშშ \$	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი	რეიტინგი (Moody/Fitch/S&P)
სუვერენული ევროზობლიგაციები											
Republic of Azerbaijan	AZERBJ	XS1678622090	USD	2.82	Government	9/1/2021	0.4	174	100.4	1.8	BB+/-/Ba2u
Republic of Azerbaijan	AZERBJ	XS1044540547	USD	4.75	Government	3/18/2024	2.8	1,250	108.6	1.8	BB+/-/Ba2u
Republic of Azerbaijan	AZERBJ	XS1678623064	USD	5.125	Government	9/1/2029	6.2	311	110.3	3.7	BB+/-/Ba2u
Republic of Azerbaijan	AZERBJ	XS1678623734	USD	3.5	Government	9/1/2032	8.6	1,077	99.1	3.6	BB+/-/Ba2u
Republic of Armenia	ARMEN	XS1207654853	USD	7.15	Government	3/26/2025	3.5	500	111.0	4.1	B+/-/Ba3
Republic of Armenia	ARMEN	XS2010043904	USD	3.95	Government	9/26/2029	7.1	500	95.1	4.7	B+/-/Ba3
Republic of Armenia	ARMEN	XS2010028939	USD	3.60	Government	2/2/2031	8.0	750	91.9	4.6	B+/-/Ba3
Republic of Belarus	BELRUS	XS1634369067	USD	6.875	Government	2/28/2023	1.7	800	102.3	5.6	B/B/B3u
Republic of Belarus	BELRUS	XS1634369224	USD	7.625	Government	6/29/2027	4.8	600	102.0	7.2	B/B/B3u
Republic of Belarus	BELRUS	XS1760804184	USD	6.2	Government	2/28/2030	6.6	600	92.5	7.4	B/B/B3u
Kazakhstan	KAZAKS	XS1120709669	USD	3.875	Government	10/14/2024	3.3	1,500	109.8	1.0	BBB/BBB-/Baa3
Kazakhstan	KAZAKS	XS1263054519	USD	5.125	Government	7/21/2025	3.9	2,500	116.4	1.2	BBB/BBB-/Baa3
Kazakhstan	KAZAKS	XS1263139856	USD	6.5	Government	7/21/2045	14.0	1,500	143.1	3.8	BBB/BBB-/Baa3
Kazakhstan	KAZAKS	XS1120709826	USD	4.875	Government	10/14/2044	14.6	1,000	121.3	3.5	BBB/BBB-/Baa3
Russia	RUSSIA	XS0767472458	USD	4.5	Government	4/4/2022	1.0	2,000	103.5	1.0	BBB/BBB-/Baa3
Russia	RUSSIA	XS0971721450	USD	4.875	Government	9/16/2023	2.3	3,000	109.0	1.1	BBB/BBB-/Baa3
Russia	RUSSIA	RU000A0JWHA4	USD	4.75	Government	5/27/2026	4.5	3,000	112.2	2.2	BBB/-/-
Russia	RUSSIA	XS0088543193	USD	12.75	Government	6/24/2028	5.3	2,500	165.6	2.7	BBB/BBB-/Baa3
Russia	RUSSIA	RU000A0JXTS9	USD	4.25	Government	6/23/2027	5.4	2,405	109.7	2.6	BBB/-/-
Russia	RUSSIA	RU000A0ZYYN4	USD	4.375	Government	3/21/2029	6.8	3,000	109.6	3.0	BBB/-/-
Russia	RUSSIA	RU000A1006S9	USD	5.1	Government	3/28/2035	10.3	4,000	115.3	3.7	BBB/-/-
Russia	RUSSIA	XS0767473852	USD	5.625	Government	4/4/2042	13.2	3,000	122.8	4.0	BBB/BBB-/Baa3
Russia	RUSSIA	XS0971721963	USD	5.875	Government	9/16/2043	13.6	1,500	127.1	4.0	BBB/BBB-/Baa3
Russia	RUSSIA	RU000A0JXU14	USD	5.25	Government	6/23/2047	15.0	7,000	119.5	4.0	BBB/-/-
Ukraine	UKRAIN	XS1303920083	USD	7.75	Government	9/1/2021	0.4	1,409	101.9	2.9	B/B/B3u
Ukraine	UKRAIN	XS1303921214	USD	7.75	Government	9/1/2022	1.3	1,384	105.3	3.8	B/B/B3u
Ukraine	UKRAIN	XS1303921487	USD	7.75	Government	9/1/2023	2.2	1,355	107.4	4.5	B/B/B3u
Ukraine	UKRAIN	XS1303925041	USD	7.75	Government	9/1/2024	3.0	1,339	107.3	5.4	B/B/B3u
Ukraine	UKRAIN	XS1303925470	USD	7.75	Government	9/1/2025	3.7	1,329	107.6	5.8	B/B/B3u
Ukraine	UKRAIN	XS1303926528	USD	7.75	Government	9/1/2026	4.4	1,318	107.3	6.1	B/B/B3u
Ukraine	UKRAIN	XS1303927179	USD	7.75	Government	9/1/2027	5.0	1,307	105.7	6.6	B/B/B3u
Ukraine	UKRAIN	XS1902171757	USD	9.75	Government	11/1/2028	5.3	1,600	115.6	7.1	B/B/-
Ukraine	UKRAIN	XS1577952952	USD	7.375	Government	9/25/2032	7.3	3,000	99.4	7.5	B/B/-

გამომშვები	Ticker	ISIN	ვალუტა	კუპონი	სექტორი	დაფარვის თარიღი	დურაცია	მოცულობა მლნ აშშ \$	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი	რეიტინგი (Moody/Fitch/S&P)
Uzbekistan	UZBEK	XS1953916290	USD	4.75	Government	2/20/2024	2.7	500	105.9	2.6	BB-/BB-/B1u
Uzbekistan	UZBEK	XS1953915136	USD	5.375	Government	2/20/2029	6.4	500	109.6	3.9	BB-/BB-/
Uzbekistan	UZBEK	XS2263765856	USD	3.7	Government	11/25/2030	7.9	555	97.6	4.0	BB-/BB-/
Georgia	GEORG	XS0617134092	USD	6.875	Government	4/12/2021	0.0	500	100.0	8.4	BB/BB/Baa2
Turkey	TURKEY	US900123BY51	USD	5.125	Government	3/25/2022	0.9	1,000	100.9	4.2	BB-/NR/B2
Turkey	TURKEY	US900123CA66	USD	3.25	Government	3/23/2023	1.9	1,500	96.9	4.9	BB-/B2
Turkey	TURKEY	US900123CF53	USD	5.75	Government	3/22/2024	2.7	2,500	100.1	5.7	BB-/B2
Turkey	TURKEY	US900123AW05	USD	7.375	Government	2/5/2025	3.3	3,250	104.4	6.1	BB-/NR/B2
Turkey	TURKEY	US900123CJ75	USD	4.25	Government	4/14/2026	4.3	1,500	92.2	6.1	BB-/B2
Turkey	TURKEY	US900123CL22	USD	6	Government	3/25/2027	4.9	3,250	97.7	6.5	BB-/B2
Turkey	TURKEY	US900123CP36	USD	5.125	Government	2/17/2028	5.6	2,000	92.1	6.6	BB-/B2
Turkey	TURKEY	US900123AL40	USD	11.875	Government	1/15/2030	5.8	1,500	132.2	6.9	BB-/NR/B2
Turkey	TURKEY	US900123CT57	USD	7.625	Government	4/26/2029	5.8	3,000	104.6	6.9	BB-/B2
Turkey	TURKEY	US900123DA57	USD	5.95	Government	1/15/2031	7.0	2,250	92.9	7.0	-/B2
Turkey	TURKEY	US900123AT75	USD	8	Government	2/14/2034	8.0	1,500	106.8	7.2	BB-/NR/B2
Turkey	TURKEY	US900123AY60	USD	6.875	Government	3/17/2036	9.1	2,750	97.0	7.2	BB-/NR/B2
Turkey	TURKEY	US900123BB58	USD	7.25	Government	3/5/2038	9.6	1,000	100.3	7.2	BB-/NR/B2
Turkey	TURKEY	US900123BJ84	USD	6	Government	1/14/2041	10.7	3,000	86.7	7.3	BB-/NR/B2
Turkey	TURKEY	US900123CG37	USD	6.625	Government	2/17/2045	11.3	3,000	92.0	7.3	BB-/B2
Turkey	TURKEY	US900123CM05	USD	5.75	Government	5/11/2047	11.9	3,500	83.3	7.2	BB-/B2
კორპორატიული ევროობლიგაციები											
SILKNET JSC	SILNET	XS1843443430	USD	11	Communications	4/2/2024	0.9	200	109.5	7.4	B-/B1
TURK TELEKOMUNIKASYON AS	TURKTI	XS1028951264	USD	4.875	Communications	6/19/2024	2.9	500	101.9	4.2	BB-/BB-/
TURK TELEKOMUNIKASYON AS	TURKTI	XS1955059420	USD	6.875	Communications	2/28/2025	3.4	500	107.3	4.8	BB-/BB-/
TURKCELL ILETISIM HIZMET	TCELLT	XS1298711729	USD	5.75	Communications	10/15/2025	3.9	500	103.4	4.9	BB-/BB-/B2u
TURKCELL ILETISIM HIZMET	TCELLT	XS1803215869	USD	5.8	Communications	4/11/2028	5.4	500	101.6	5.5	BB-/BB-/
VEON	VIP	XS1625994618	USD	4.95	Communications	6/16/2024	2.7	900	106.4	2.8	BBB-/BB+/Baa2u
VEON	VIP	XS1400710726	USD	7.25	Communications	4/26/2023	1.7	700	108.4	3.0	BBB-/BB+/Baa2u
Vodafone Ukraine	VODUKR	XS2114201622	USD	6.2	Communications	2/11/2025	2.6	500	103.5	5.2	B/B/-
GEORGIAN RAILWAY JSC	GRAIL	XS0800346362	USD	7.75	Industrial	7/11/2022	1.2	500	106.3	2.6	BB-/B+/-
KAZAKHSTAN TEMIR ZHOLY	KTZKZ	XS0799658637	USD	6.95	Industrial	7/10/2042	12.3	1,100	134.1	4.5	BBB-/BB-/Baa3
Russian Railways	RURAIL	XS0764220017	USD	5.7	Industrial	4/5/2022	1.0	1,400	104.5	1.1	BBB/BBB-/Baa2
Russian Railways	RURAIL	XS1574068844	USD	4.375	Industrial	3/1/2024	2.7	500	107.3	1.8	BBB-/Baa2
Ukrainian Railway	RAILUA	XS1843433472	USD	8.25	Industrial	7/9/2024	2.8	595	105.6	6.3	B/-/-
BANK OF GEORGIA JSC	GEBGG	XS1405775880	USD	6	Financial	7/26/2023	2.1	350	106.4	3.1	BB-/B/Ba2
TBC BANK JSC	TBCBGE	XS1843434363	USD	5.75	Financial	6/19/2024	2.9	300	107.0	3.4	BB-/B/Ba2
Ak Bar Bank	AKBARS	XS0805131439	USD	8	Financial	7/13/2022	1.2	600	105.2	3.7	WD/-/-

AKBNK	AKBNK	USM0375YAK49	USD	5	Financial	10/24/2022	1.4	500	100.6	4.6	B+/-/B2
AKBNK	AKBNK	XS1210422074	USD	5.125	Financial	3/31/2025	3.5	500	96.8	6.0	B+/-/B2
AKBNK	ARBANK	XS2080321198	USD	6.5	Financial	1/28/2025	3.3	300	99.7	6.6	B+/-/Ba3
Credit Bank of Moscow	CRBKMO	XS1510534677	USD	5.875	Financial	11/7/2021	0.6	500	102.2	2.1	BB/BB/-
Credit Bank of Moscow	CRBKMO	XS1759801720	USD	5.55	Financial	2/14/2023	1.7	500	104.3	3.1	BB/BB-/Ba3
Credit Bank of Moscow	CRBKMO	XS1964558339	USD	7.121	Financial	6/25/2024	2.8	500	109.3	4.0	BB/BB/-
Credit Bank of Moscow	CRBKMO	XS2099763075	USD	4.7	Financial	1/29/2025	3.4	600	100.9	4.4	BB/BB/-
Garanti Bank	GARAN	USM8931TAA71	USD	6.25	Financial	4/20/2021	0.0	500	100.1	2.7	B+/-/B2
Garanti Bank	GARAN	USM8931TAF68	USD	5.25	Financial	9/13/2022	1.4	750	101.0	4.5	B+/-/B2
Garanti Bank	GARAN	XS1576037284	USD	5.875	Financial	3/16/2023	1.8	500	101.8	4.9	B+/-/B2
TURKIYE IS BANKASI	ISCTR	XS0847042024	USD	6	Financial	10/24/2022	1.4	1,000	100.0	6.0	B-/Caa2
TURKIYE IS BANKASI	ISCTR	XS1003016018	USD	7.85	Financial	12/10/2023	2.3	400	103.4	6.4	B-/Caa3
TURKIYE IS BANKASI	ISCTR	XS1578203462	USD	6.125	Financial	4/25/2024	2.7	1,250	99.0	6.5	B+/-/B3
TURKIYE IS BANKASI	ISCTR	XS2041003901	USD	8.1	Financial	12/3/2029	5.9	50	97.6	8.5	B+/-/NR
Yapi Kredi Bank	YKBNK	XS1571399754	USD	5.75	Financial	2/24/2022	0.8	600	100.8	4.8	B+/-/B2
Yapi Kredi Bank	YKBNK	XS1634372954	USD	5.85	Financial	6/21/2024	2.8	500	99.0	6.2	B+/-/B2
Alfa Bond Issuance PLC	ALFARU	US01538RAB50	USD	7.75	Financial	4/28/2021	0.1	1,000	100.5	(1.6)	BBB-/BB+/Ba1
Ziraat Bank	TCZIRA	XS1223394914	USD	4.75	Financial	4/29/2021	0.1	500	100.2	0.9	B+/-/B2
Ziraat Bank	TCZIRA	XS1605397394	USD	5.125	Financial	5/3/2022	1.0	600	100.1	5.0	B+/-/B2
Ziraat Bank	TCZIRA	XS1691349010	USD	5.125	Financial	9/29/2023	2.3	500	99.0	5.6	B+/-/B2
Sberbank	SBERRU	XS0743596040	USD	6.125	Financial	2/7/2022	0.8	1,500	104.2	1.1	BBB-/Baa3
Sberbank	SBERRU	US78406JAD63	USD	5.25	Financial	5/23/2023	2.0	1,000	106.1	2.3	BBB-/B2
International Bank of Azerbaijan	IBAZAZ	XS1678463784	USD	3.5	Financial	9/1/2024	3.2	1,000	98.5	4.0	B-/B2
Alfa Bank	ALFARU	XS1760786340	USD	6.95	Financial	Perpetual	1.9	500	103.4	5.5	B+/-/B2
TINKOF	AKBHC	XS1631338495	USD	9.25	Financial	Perpetual	1.3	300	105.1	8.2	B-/B2
GEOCAP 24	GEOCAP	XS1778929478	USD	6.125	Financial	3/9/2024	2.6	300	101.4	5.6	-/B/B2
Georgian Global Utilities	CGEOLN	XS2208644059	USD	7.75	Utilities	7/30/2025	2.9	250	104.7	6.5	B+/-/B2

წყარო: Bloomberg
ინფორმაცია განახლებულია 2021 წლის 2 აპრილის მდგომარეობით



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომზადარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილუბოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერი ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომზადარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ ენდ თაგარტი

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102,

საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: gt@gt.ge